

## თბილისის სააპელაციო სასამართლოს

კერძო საჩივრის ავტორი: შოთა ბუჩუკური

**წარმომადგენლები:**

ნინო გუჯარაიძე

ირმა მახათაძე

## კერძო საჩივარი

/თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22  
ოქტომბრის განჩინება (საქმე №3/6054-17)/

12.11.2018წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22  
ოქტომბრის განჩინებით (საქმე №3/6054-17) შოთა ბუჩუკურს სარჩელზე მოპასუხეების: სსიპ  
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო  
ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04  
ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სასკ-ის მე-2 მუხლის თანახმად უარი ეთქვა  
მიღებაზე;

სასამართლომ მიუთითა, რომ 2017 წლის 4 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შოთა ბუჩუკურმა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო  
ზედამხედველობის სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტროს მიმართ წარმოადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016  
წლის 23 მარტის №54-04 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის  
მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-სტეფანწმინდას“  
პროექტისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016  
წლის 19 ივლისის №121-04 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებულ იქნა „ქსნის“ ქვესადგურიდან  
დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანამდე 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-  
სტეფანწმინდას“ კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

3. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016  
წლის 7 ოქტომბრის №179-04 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ოქრუანიდან ყაბბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500

კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებულ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

5. ბათილად იქნეს ცნობილი ზემოაღნიშნულ აქტებზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის სექტემბრის განჩინებით სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო და მოცემულ ეტაპზე დასაშვებად ცნო.

2018 წლის 4 ივნისის სხდომაზე მოპასუხე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენელმა წარმოადგინა **სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებები**, რომლებითაც დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის ცვლილებაზე (დუშეთის მუნიციპალიტეტის 12 კმ-იან შეცვლილი შემოვლითი მონაკვეთი) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა, კონსტრუქციული სქემა შეთანხმდა და მშენებლობის ნებართვა გაიცა.

2018 წლის 17 ოქტომბერს სასამართლოს წარედგინა შოთა ბუჩუკურის დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც თავდაპირველ სარჩელში ასახულ მოთხოვნებთან ერთად მოთხოვნილ იქნა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებების ბათილად ცნობა.

სასამართლომ მიუთითა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებით) პირველ მუხლზე, რომლის მიხედვით, სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო მე-6 მუხლის მიხედვით, სააგენტოს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს სააგენტოს საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას, აჩერებს მისი უკანონო აქტის ან მოქმედების შესრულებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ იგი არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებას.

**საქალაქო სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინება გამოტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" პრიმა, 285-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტების დარღვევით. კერძოდ: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.**

1. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის~ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას. გასაჩივრებული განჩინებით დასტურდება, რომ წინამდებარე სარჩელთან დაკავშირებით ადგილი აქვს სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკანონოდ უარის თქმის ფაქტს, რითაც უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის~ ევროპული კონვენციის ფუძემდებლური დებულებები.

2. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სზაკ-ის 63-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

საქმის მასალებით დადგენილია და სადავო არ არის, რომ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 ბრძანებითა და 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანებით დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ აჩხოტამდე „ქსანი-სტეფანწმინდას“ 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთზე დამტკიცებული სამშენებლოდ გამოყენების პირობები და შეთანხმებული კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები დუშეთის მუნიციპალიტეტის 12 კმ-იან მონაკვეთზე შეცვლილია და ცვლილება დამტკიცებულია სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30 მარტის N46-04 ბრძანებებით. ამდენად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები შესაბამისად წარმოადგენენ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 და 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანებების შემადგენელ/განუყოფელ ნაწილს, ხოლო სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 და 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანებების ერთჯერადად გასაჩივრების წესი მოსარჩელის მიერ დაცულია, რაც დასტურდება წინამდებარე სარჩელით.

საგულისხმოა, ის გარემოებაც, რომ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 7 ოქტომბრის №179-04 და 2016 წლის 1 დეკემბრის №204-04 ბრძანებების ბათილად ცნობის შესახებ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საერთოდ არც განუხილავს ანუ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებით) მე-6 მუხლით მინიჭებული ზედამხედველობის უფლებამოსილება არ განუხორციელებია და არ შეუმოწმებია გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, რის გამოც მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს საქმეზე ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას (რაც პროცესუალურ ეკონომიასაც გულისხმობს თავისთავად) სასამართლოს დასკვნა - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N11-04 და 2018 წლის 30

მარტის N46-04 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ კანონსაწინააღმდეგოა, დაუსაბუთებელი და მოქმედი საერთაშორისო აქტების, ეროვნული კანონმდებლობის უხეში უგულვებელყოფით **ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ შპს “ენერგოტრანსის“ ინტერესების დაცვას.**

გასაჩივრებული განჩინება მხარეს დადგენილი წესით ჩაბარდა 2018 წლის 30 ოქტომბერს შესაბამისად კერძო საჩივარი წარმოდგენილია კანონით განსაზღვრული 12 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით 2018 წლის 12 ნოემბერს.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. მიიღოთ წარმობაში კერძო საჩივარი.
2. გააუქმოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინება (საქმე №3/6054-17).
3. მოხდეს შოთა ბუჩუკურის სარჩელის განხილვა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სულ „1“ ფურცელი

1. სახელმწიფო ბაჟის (50 ლარი) გადახდის ქვითარი.

შოთა ბუჩუკურის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე

შოთა ბუჩუკურის წარმომადგენელი:

ირმა მახათაძე